აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 10

3 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 აგვისტოს №114/2012 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა დანართით გათვალისწინებულ ხელმოწერათა მინიმალური რაოდენობებით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია